პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 60 (3037) 27 მარტი. კვირა. 1966 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

სკკპ XXIII ყრილობას — შრომითი საჩუქრები

## ავტოშემკეთებელთა წვლილი

თბილისის № 1 ავტოშემკეთებელმა ქარხანამ ახალი ტურისტული ავტობუსი ააწყო. ეს არის ჩვიდმეტადგილიანი ლია მანქანა, მისი სიგრძე 6,2 მეტრია, სიგანე — 2 მეტრზე ცოტა მეტი. მანქანას აქვს საფარი, კართან ერთი ადგილი საგანგებოდ განკუთვნილია მეგზურისთვის. ამ ავტობუსის ასაწყობად სატვირთო მანქანა გაზ-53-ის ძრავა და შასი გამოიყენეს, სხვა ყველაფერი კი თვით ავტოშემკეთებლების ხელით გაკეთდა. მოიხმარეს თანამედროვე სინთეტიკური მასალები, ფოროვანი რეზინი და სხვადასხვა ფერის ტექსტოვინიტი.

ახლებურადაა გაკეთებული სავარძლების საზურგეებიც, რამაც მასალის ხარჯი თითქმის გაანახევრა. მანქანის შიდა ნაწილების მოპირკეთებისთვის გამოყენებულია ლამაზი პლასტიკატი.

ახალი ტურისტული ავტობუსი ქარხნის კოლექტივის შრომითი საჩუქარია სკკპ XXIII ყრილობისთვის. მის აწყობაზე თავი ისახელეს წინასაყრილობო ვახტის მონაწილეებმა, გამოცდილმა მუშებმა — მეთუნუქე ვ. იაძემ, ზეინკალმა ლ. დათუკაშვილმა და დურგალმა ლ ჭელიძემ.

ავტობუსის კონსტრუქცია დაამუშავეს ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ს. მაისურაძემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ინჟინერმა ა. შიოლაშვილმა და ახალგაზრდა ინჟინერ-კონსტრუქტორმა ჟ. სურმავამ.

ამ დღეებში მოეწყობა ახალი მანქანის პირველი საცდელი რეისები. ნავარაუდევია ავტობუსების სერიული გამოშვება. ისინი, პირველ ყოვლისა, ტურისტული ბაზებისთვისაა განკუთვნილი.

წინასაყრილობო ვახტზე რომ დგებოდა, ქარხნის კოლექტივმა იკისრა I კვარტალში გეგმის ზევით 40 ავტომანქანა შეეკეთებინა. ეს ვალდებულება წარმატებით შესრულდა. ამ დაძაბულ სამუშაოზე ქარხნის ათობით სპორტსმენმაც გამოიჩინა თავი.

ა. ვენაძე.

## ესტაფეტა დამთავრდა

სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი ესტაფეტა „შრომასა და სპორტში", რომელსაც „განთიადის" ცენტრალური საბჭო ატარებს, რესპუბლიკის 10 ქალაქის შემოვლის შემდეგ ჭიათურელმა და გორელმა სპორტსმენებმა გუშინ თბილისში ჩამოიტანეს.

ესტაფეტის მონაწილეებს სატრიკოტაჟო კომბინატში საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. ლაშქრობის დამთავრების პატაკი მიიღო „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ. შეჯამდა საყრილობო ვალდებულებები.

ვალდებულებათა პირნათლად განაღდების პატაკი ესტაფეტის შედეგებით დღეს თბილისიდან მოსკოვს, სკკპ XXIII ყრილობის დედაქალაქში გაიგზავნება.

თ. გაჩეჩილაძე.

◆ კოპენჰაგენი, 26 მარტი. 1967 წლის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის პერსონალური ადგილისთვის გელერ — ლარსენის მატჩის პირველი დამატებითი პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც ლარსენს 2 ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ გელერი ინარჩუნებს ყაიმის შანსებს. როგორც ცნობილია, ძირითადი მატჩი ფრედ (4:4) დამთავრდა.

◆ მარ-დელ-პლატა, 26 მარტი. ლამაზი მოგებით აღნიშნა თავისი დაბადების 45 წელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა: აქ მიმდინარე საჭადრაკო ტურნირის XI ტურში მან 29-ე სვლაზე მოუგო არგენტინელ ჰ. როსეტოს. ამ ტურში გაიმარჯვა მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ლ. შტეინმაც: არგენტინელმა რ. სანგინეტიმ 22-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა. 11 ტურის შემდეგ სმისლოვს და უნგრელ ლ. პორტიშს 8-8 ქულა აქვთ. შტეინი მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება. IV ადგილზეა არგენტინელი ხ. ბოლბოჩანი — 6,5 ქულა.

## პირობას განაღდებენ

წუთით არ წყდება დაზგების ხმაური. ცვლა ცვლას ეჯიბრება, საამქრო—საამქროს. ყველას სურს თავისი წვლილი შეიტანოს იმ ვალდებულებათა განაღდებაში, რომლებიც ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივმა სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავად იკისრა. კომბინატმა თებერვლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სამხერხაო საამქრომ, რომელსაც ფეხბურთელი რ. თედიევი ხელმძღვანელობს.

ვეტერანი ფეხბურთელი ბ. ბერუაშვილი არა მარტო საავეჯო საამქროს გამოცდილი ოსტატია, არამედ კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივსაც უნარიანად უძღვება. ბერუაშვილისა და მეთოდისტ რ. კაკოშვილის ზრუნვით ნაყოფიერად საქმიანობს სხვადასხვა სექცია. ჰყავთ გუნდები, რომლებიც საოლქო და რესპუბლიკურ ტურნირებში წარმატებით გამოდიან. მაგალითად, ფეხბურთელთა გუნდი ოლქის ჩემპიონი და საქართველოს ხე-ტყისა და ქაღალდის დამმუშავებელი სამმართველოს 1965 წლის თასის მფლობელია. პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეა ეკონომისტი ე. სართანია. მექანიკურ საამქროში კარგი მუშაობით გამოირჩევა მაგიდის ჩოგბურთელი ი. მიხაილოვი და სხვ. ისინი შრომის მოწინავენიც არიან.

ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის მუშა-მოსამსახურეები ვარაუდობენ, რომ მარტის გეგმას ყრილობის გახსნის დღისთვის შეასრულებენ.

ვ. მელქოევი. (ჩვენი კორ.).

ცხინვალი.



მოსკოვში გდრ-ისა და სსრ კავშირის მოცურავეთა ნაკრები გუნდების ამასწინანდელი მატჩის დროს საბჭოთა სპორტსმენებმა რამდენიმე რეკორდი დაამყარეს: ქალთა გუნდმა ესტაფეტაში 4×100 მ თავისუფალი სტილით — ახალი საკავშირო რეკორდი — 4.14,0; ვაჟთა გუნდმა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — ევროპის რეკორდი — 4.00,7 და ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით — ასევე ევროპული რეკორდი — 3.37,0.

* * *

სურათზე: 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ევროპის რეკორდსმენები (მარცხნიდან მარჯვნივ) ლ. ილიჩოვი, ვ. ბერეზინი, ვ. მაზანოვი და ვ. შუვალოვი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## საქართველოს სპორტკავშირში

### ანგარიშგება-არჩევნების ვადები

ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტკავშირისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რაიონული, საქალაქო, საოლქო და ასსრ საბჭოების რწმუნებათა ვადის გასვლის გამო საქართველოს სპორტკავშირმა დაადგინა მოეწყოს ანგარიშგება-არჩევნები შემდეგ ვადებში: ფიზკულტურის კოლექტივებში ა. წ. — 30 მარტამდე; რაიონული, საქალაქო, საოლქო და ასსრ კონფერენციები — 30 აპრილამდე; ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების კონფერენციები— 10 მაისამდე.

საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენცია ჩატარდეს 12 მაისს.

დამტკიცდა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები: სპორტკავშირის რაიონული, საქალაქო, საოლქო, ასსრ საბჭოების ხაზით —1 დელეგატი 3000 ფიზკულტურელზე, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ხაზით (ირჩევენ რესპუბლიკურ კონფერენციაზე) — 1 დელეგატი 3500 ფიზკულტურელზე.

## წყლის მოედნებზე

სარატოვი, 26 მარტი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა მეტოქეები იყვნენ მათი ლვოველი თანაკლუბელები. ძნელ ბრძოლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 5:4. მოსკოველმა მეზღვაურებმა სძლიეს კიევის „დინამოს" — 4:3, ხოლო ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის წყალბურთელებმა დაამარცხეს მოსკოვის ოლქის „ტრუდი" — 6:3.

მოსკოვი. აქ მიმდინარეობს „ა" კლასის I ჯგუფის დანარჩენი 6 გუნდის შეხვედრები. აი, მათი შედეგები: უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 3:1, „ბალტიკა" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 6:2, „ტორპედო" (მოსკოვი) — „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) 4:3, „ბალტიკა" — „შრომითი რეზერვები" 4:3, „ტორპედო" — „დინამო" 4:1, „სპარტაკი" — მოსკოვის უნივერსიტეტი — 3:3.

## ოქროს ქალღმერთის კვალი?

### გაგრძელდა ერთ წუთს...

ლონდონი, 26 მარტი. სკოტლანდიარდის დეტექტივებმა, შესაძლოა, მიაგნეს ამას წინათ მოტაცებული ოქროს ქალღმერთის კვალს. წუხელ დაპატიმრებულ იქნა 47 წლის ედვარდ ბლეტჩლი, რომელიც დღისით სასამართლოს წინაშე წარსდგება, სადაც მას წაუყენებენ ფეხბურთის თასის მოპარვის ფორმალურ ბრალდებას. სასამართლო სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდება. იგი მხოლოდ დაპატიმრების კანონიერებას დაადასტურებს და პოლიციას ბლეტჩლის დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენის დროს მისცემს.

როგორც გაზეთი „დეილი მირორი" იუწყება, ბლეტჩლი დააპატიმრეს ჩას შემდეგ, რაც პოლიციამ მიიღო წერილი და ამანათი, რომელშიც აღმოჩნდა თასის ნაწილი — ოქროს რვაწახნაგა. თასის დანარჩენი ნაწილისთვის წერილის ავტორი მოითხოვს 50 ათას ფუნტ სტერლინგს. ეს იმის ვარაუდს გვაძლევს, რომ თასი ჯერჯერობით გაუმდნარია და მისი გადარჩენა კიდევ შესაძლებელია... თუ, რა თქმა უნდა, ერთადერთი დილის გაზეთის „დეილი მირორის" ვერსია სინამდვილეს შეეფერება. საქმე ის არის, რომ უფრო მოგვიანებით გამოსული გაზეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ამბავი სულ სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება.

პოლიცია განაგრძობს ოქროს ქალღმერთის ძებნას.

• • •

ლონდონი, 26 მარტი. მაგისტრატის სასამართლომ დღეს გადაწყვიტა 4 აპრილამდე ამყოფოს პატიმრობაში ლონდონის დოკის შავი მუშა ე. ბლეტჩლი. მას ბრალად ედება ვესტმინსტერის სასახლის იმ დარბაზის კარის გატეხვა, სადაც ინახებოდა ჟიულ რიმეს თასი და თასის გატაცება.

ბრალდება წამოაყენა პოლიციის ინსპექტორმა ბაგიმ, რომელმაც განაცხადა, რომ წინააღმდეგია ბრალდებულის თავდებში გაშვებისა. მოსამართლის შეკითხვაზე, ხომ არ სურს ბლეტჩლის რაიმე თქვას პოლიციის მოთხოვნის გარშემო, ბრალდებულმა მხოლოდ უარის ნიშნად გააქნია თავი.

სასამართლო სულ ერთ წუთს გაგრძელდა.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ✦ საბჭოთა კავშირში მეათე

საბჭოთა იმიერპოლარეთის დედაქალაქში გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში მეათე დახურული საცურაო აუზი 50-მეტრიანი ბილიკებით. ბილიკი რვაა.

პირველი აბონემენტი აუზის მშენებელთაგან ყველაზე ახალგაზრდას, დურგალ ვ. ჟაკოვკას გადაეცა.

პირველ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე მოსწავლემ, რომლებმაც ახლახან შეასრულეს ოლიმპიური ნორმატივები. ბიჭები თავიანთი მშობლიური ქალაქის სევერომორსკის პატარა აუზში ვარჯიშობდნენ.

მურმანსკი.

### ✦ უდიდესი მოტოდრომი

აზერბაიჯანის დედაქალაქში დაიწყო სსრ კავშირში ერთ-ერთი უდიდესი მოტოდრომის მშენებლობა. მისი ტრიბუნები 6.000 მაყურებელს დაიტევს. აქვე გაიხსნება მოტოციკლისტთა მოსამზადებელი სპეციალიზებული სკოლა.

წლეულს აზერბაიჯანში რამდენჯერმე მეტი სპორტული ნაგებობა აშენდება, ვიდრე შარშან. სპორტული მშენებლობა რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქშია გაშლილი. ბაქოში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე, შენდება გადახურული სტადიონი 70-მეტრიანი სარბენი ბილიკით. მისი მთავარი სპორტული სარბიელის ტრიბუნები 2 ათასი მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული.

ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის სტუდენტები მიიღებენ ახალ სპორტულ კორპუსს, რომელსაც საცურაო აუზიც ექნება.

ბაქო.

### ✦ ყოველ კოლმეურნეობას — სტადიონი

ვიტებსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „რუდაკოვოში" საზოგადოებრივი ძალებით აშენდა სტადიონი, რომელსაც აქვს ფეხბურთის მინდორი, წიდიანი სარბენი ბილიკი, მძლეოსნური სექტორები და კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. სპორტული კომპლექსის ტერიტორია გამწვანებულია.

ბელორუსიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა პროფსაბჭოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა „უროჟაის" პრეზიდიუმთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სპორტული ბაზების შექმნის შესახებ.

ვიტებსკი.

# „მოსახლეობაში ფართოდ დავნერგოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი სახეობები“

### სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტიდან

საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმა ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ყველა მაჩვენებელი. მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ საქმიანობაში ამჟამად ჩაბმულია რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი, იმატა სპორტის ოსტატთა და თანრიგოსანთა რიცხვმა, გაიზარდა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რაოდენობა, გაფართოვდა სპორტბაზების ქსელი.

მაგრამ სპორტის განვითარების შესაძლებლობანი ამოუწურავია. მოსახლეობაში ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს სპორტკავშირმა შეიმუშავა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი (1966-70 წ.წ.) გეგმა. ხუთწლედის ბოლოსთვის ფიზკულტურასა და სპორტში გეგმით

## ხუთწლედის ბოლოს

ჩაბმული უნდა იყოს რესპუბლიკის მოსახლეობის 25 პროცენტი, ე. ი. დაახლოებით 1210 ათასი კაცი. აქედან, წლევანდელი წლის დამლევს — 1050 ათასი. საგაისოდ ეს რიცხვი გაიზრდება 70 ათასით, 1968 წელს — 80 ათასით, 1969 წელს კი — 25 ათასით.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, საქართველოში 980 სპორტის ოსტატი მომზადდება. წლეულს ეს წოდება უნდა მოიპოვოს 175-მა, შემდეგ, ყოველწლიურად 10-10-ით მეტმა, 1970 წელს კი — 220 სპორტსმენმა.

ხუთწლედში პირველთანრიგოსანთა რიგებს შეემატება 1750, 1850, 1950, 2050, 2200, — სულ 9800 სპორტსმენი.

სხვა თანრიგებში კი — 120, 130, 135, 145, 155, — სულ 685 ათასი კაცი მომზადდება. საზოგადოებრივი ინსტრუქტორების რაოდენობა ხუთწლედში გაიზრდება 138, ხოლო მსაჯებისა — 100 ათასამდე.

დიდი ყურადღება დაეთმობა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებას. წლეულს რესპუბლიკის ტანვარჯიშული დარბაზების რიცხვი 600-მდე გაიზრდება, მომდევნო სამ წელიწადში აიგება 100-100, ხუთწლედის ბოლოს — 60, სულ, 1970 წლის ბოლოსთვის, 960 ტანვარჯიშული დარბაზი გვექნება. ხუთწლედის დამლევს საქართველოში იქნება ფრენბურთისა და კალათბურთის 12.000 მოედანი (მოეწყობა წელიწადში საშუალოდ 950) და 8160 სტადიონი, ფეხბურთის მინდორი და კომპლექსური მოედანი (აშენდება წელიწადში საშუალოდ 170 ნაგებობა).

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩატარდება, აგრეთვე, მოსწავლე-ახალგაზრდებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ბავშვთა სპორტსკოლების ქსელის გასაფართოებლად, წვევამდელთა ფიზიკური და ტექნიკური მომზადების ასამაღლებლად.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დაინერგება თბილისის დიღმის მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბ „დილასა“ და ნავთლუღის მასივის კლუბ „გაზაფხულის“ გამოცდილება. მშრომელებში უფრო ფართოდ გავრცელდება მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა სხვადასხვა ფორმა — დილის გამამხნევებელი და სამკურნალო ტანვარჯიში, ტურიზმი და ერთდღიანი ლაშქრობები, ნადირობა, თევზჭერა და სხვ. ფართოდ გაიშლება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ქალთა შორის, ამაღლდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის დონე სოფლის მოსახლეობაში.

## თქვენი დახმარება გვჭირდება

### ღია ბარათი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობას

*ძვირფასო ამხანაგებო!*

*საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა საბჭოთა მოქალაქეს ავალებს სისტემატურად იზრუნონ მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისთვის.*

*ცხადია, ამ საქმის წარმატებისთვის, პირველ ყოვლისა, სპორტული ბაზების საკითხი უნდა მოგვარდეს და სასურველია, იგი თვით მოსახლეობის დახმარებით გადაიჭრას. იქ, სადაც შეუძლებელია კაპიტალურ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა, უნდა მოეწყოს მარტივი ტიპის მოედნები, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს საცხოვრებელი ადგილის ახლოს ივარჯიშოს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.*

*მოედნების ირგვლივ უნდა გავაშენოთ ყვავილნარი, გაზონები, ხეივანი. დიღმის მასივში არის საშუალება მოვაწყოთ ხელბურთის 2, კალათბურთის 3 და ფრენბურთის 10-მდე მოედანი, ძალოსნური სექტორები.*

*მასიველები ხალისით მოჰკიდებდნენ ხელს ამ კეთილ საქმეს, მაგრამ ჩვენთან (და ალბათ სხვა ახალმშენებლობებზეც) არ არის დაგეგმილი ფართობი მარტივი ტიპის სპორტული ბაზებისა და გართობის ადგილებისთვის.*

*სწორედ ამ საქმეში გვჭირდება თქვენი დახმარება.*

*იქნებ ჯობს აღნიშნული საკითხების შესასწავლად და სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შეიქმნას არქიტექტორთა და ფიზკულტურის სპეციალისტთა კომისია?*

*გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი კომპეტენტური აზრი ამის თაობაზე.*

**დიღმის მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბ „დილას“ გამგეობა.**

## დღის წესრიგში: ხალხის ჯანმრთელობა

ბოლო წლებში თბილისის მოსახლეობაში ფართოდ გაიშალა მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობა.

ამ რამდენიმე ხნის წინ სპორტის დამსახურებული ოსტატის, პენსიონერ ი. კიზირიას თაოსნობით 1-ლი მაისის რაიონში, საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსდა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი „დილა“. კლუბმა ნაყოფიერი საქმიანობა გააჩაღა დიღმის მასივის მცხოვრებლებში. ახალ წამოწყებას მალე მიმდევრებიც გაუჩნდა. 26 კომისრის რაიონის III მასივში შეიქმნა კლუბი „გაზაფხული“, ორჯონიკიძის რაიონის საბურთალოს მასივში — „დელისი“.

დიღმისა და III მასივებში სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოსახლეობის ძალებით მოეწყო მარტივი ტიპის მოედნები, ჩამოყალიბდა წრეები, სექციები, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა ჯანმრთელობის ჯგუფები. სისტემატურად ტარდება ვარჯიში და მასობრივი ღონისძიებები: ჯანმრთელობისა და დასვენების დღეები, შეჯიბრებები და სპარტაკიადები კორპუსებსა და კვარტალებს შორის, მასივების ნაკრები გუნდები ორგანიზებულად გამოდიან რაიონულ და საქალაქო ტურნირებში...

ნაყოფიერად მუშაობენ „ცენტროლიტის“, კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის, სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს დასახლების, გუდამაყრისა და ინდუსტრიალიზაციის ქუჩების ფიზკულტურულ-საზოგადოებრივი საბჭოები.

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ყველგან სანიმუშო მდგომარეობა იყოს.

დავიწყოთ, თუნდაც, საბურთალოს მასივით, სადაც მხოლოდ სახალხო კლუბის ჩამოყალიბებით დაკმაყოფილდნენ. „დელისის“ გამგეობის ხელმძღვანელმა ბირთვმა თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. მასივში ჩაშლილია გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა, აქ არ ზრუნავენ ბაზების მოწყობისათვის. ზოგიერთ კვარტალში მოსახლეობამ გადაწყვიტა საკუთარი ძალებით სპორტული მოედნების აგება, მაგრამ ამ ინიციატივამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

ქალაქის მშრომელებში მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის ფართოდ გაშლას ისიც აძნელებს, რომ არა აქვო საკმარისი საწვრთნელი და სასპარეზო ბაზები. ჩვეულებრივ, მასივების მშენებლობის გეგმა ფიზკულტურულ-სპორტულ ნაგებობებსაც ითვალისწინებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გეგმა გეგმად რჩება. მასივებსა და ქალაქის ძველი დასახლების ადგილებში სახლმმართველობებსა და რაისაბჭოს აღმასკომებს ფიზკულტურული მუშაობისათვის დღემდე არ გამოუყვიათ ოთახები. ამიტომ ზამთრის პირობებში ვარჯიშზე და რაიმე სპორტული ღონისძიების ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არის შემთხვევები, როცა მშენებელი ორგანიზაციები თვითნებურად აპარტახებენ ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან შეთანხმების საფუძველზე საზოგადოებრივი წესით მოწყობილ მოედნებს; მშენებლობათა დამთავრების შემდეგ ტერიტორიას არ ასუფთავებენ; არ ასწორებენ მიწას მოედნების მოსაწყობად.

სახლმმართველობები არ გამოყოფენ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისათვის საჭირო სახსრებს, არ იძენენ ინვენტარს, თავს არიდებენ არსებული ბაზების მოვლას. ბევრგან დღემდე შეუქმნელია ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივი საბჭოები, ნაკლებად იყენებენ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ფიზკულტურის სპეციალისტებს, თანრიგოსან სპორტსმენებს. საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების მუდმივი კომისიები მჭიდრო კავშირში არ არიან ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან.

გულგრილობით მათ ხშირად არც თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებისა და რაიონების მთავარი ექიმები ჩამორჩებიან, რომელნიც ნაკლებად ზრუნავენ მშრომელებში გამაჯანსაღებელი საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ამ საქმეში ბევრს სცოდავენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და პროფკავშირების პირველადი ორგანიზაციებიც. დღემდე ყველგან არ არის ჩამოყალიბებული ჯანმრთელობის ჯგუფები, რის გამოც საყვედურს იმსახურებენ ქალაქის სპორტული ბაზების დირექციები.

ამ ნაკლოვანებებზე ამას წინათ იმსჯელა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. გადაწყდა აღმასკომთან შეიქმნას ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებს მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ საქმიანობას, ბაზების მოწყობას, სექციების შექმნასა და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებას. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საბინაო სამმართველოებთან, ჯანმრთელობის ორგანოებთან და სპორტკავშირებთან ერთად უახლოეს ხანში ყველა სახლმმართველობასთან უნდა შექმნან ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებრივი საბჭოები, მიაღწიონ იმას, რომ ყველა კორპუსთან და დიდი საცხოვრებელი სახლების ეზოებში მოეწყოს სპორტული და საბავშვო მოედნები, გამოიყოს ოთახები ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სახეობებისათვის. კვარტალებში, საწარმო-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა შორის დაინერგოს ჯგუფური დილის ვარჯიშები და სხვ.

## გამაჯანსაღებელი ჯგუფები უნდა გამრავლდეს

საქართველოში თბილისი პირველი ქალაქია, სადაც საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები შეიქმნა. ამგვარი სასწავლო ჯგუფები მუშაობენ „დინამოს“, „განთიადის“, კონსერვატორიის, სპორტნაგებობათა სამმართველოს ბაზებზე და სხვ.

სპორტნაგებობათა სამმართველოს ტანვარჯიშულ დარბაზში სამ ჯგუფში (მათგან ორი — ქალთა) 70 მომეცადინეა გაერთიანებული. გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს უნარიანად ხელმძღვანელობენ ა. ბალუაშვილი და გ. კაჭარავა.

„დინამოს“ დარბაზში 4 ჯგუფი მუშაობს (3 ქალთა). ი. ოგანოვის, ა. ბალუაშვილისა და ლ. როინიშვილის დახმარებით აქ სხეულს იკაჟებს საშუალო და უფროსი ასაკის 80 ადამიანი, რომელთა შორის ყველაზე ხნიერია 79 წლის პენსიონერი კ. კრავცოვა. იგი მადლიერებით ლაპარაკობს ჯგუფის ხელმძღვანელთა მზრუნველობაზე. დარბაზის დირექცია და მწვრთნელები მართლაც ნაყოფიერად საქმიანობენ. ჯგუფების ჩამოყალიბების 5 წლისთავზე აქ მოაწყეს საჩვენებელი გამოსვლები, გაავრცელეს მოვარჯიშეთა სამახსოვროები.

ჯანმრთელობის ჯგუფში, რომელიც „დინამოს“ სტადიონის სპორტთამაშების დარბაზში ა. აგეევას ხელმძღვანელობით მეცადინეობს, 42 კაცია გაერთიანებული. ზამთრის აუზში ნ. მძინარიშვილი და მ. როდინი ამეცადინებენ 96 ხანშიშესულს. „განთიადის“ დარბაზში ჯანმრთელობას იკაჟებს 25 კაცი (ხელმძღვანელი ლ. ტრეტიაკოვსკაია) და სხვ.

ამ ჯგუფების საქმიანობამ კარგი შედეგი გამოიღო. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი დედაქალაქის ხანშიშესულ მკვიდრთა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. თბილისის სპორტული ბაზების უმეტესობასთან დღემდე არ არის შექმნილი მსგავსი წრეები. მაგალითად, სათანადოდ არ არიან დატვირთული (ან საერთოდ არაფერი კეთდება) თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებზე, სპორტის სასახლეში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, „შრომითი რეზერვების“, სპორტკლუბების „ელმავლის“, „გამარჯვების“ და „ფეიქრის“ ბაზებზე.

სპორტნაგებობათა სამმართველოს ტანვარჯიშულ დარბაზში არ ყოფნით ორბირთვები; „დინამოს“ დარბაზის გასახდელებსა და სახშაპეში სივიწროვეა; „განთიადის“ დარბაზში უსუფთაობაა, არა აქვთ დატენილი ბურთები, რგოლები, ორბირთვები, გასახდელების ფანჯრებში მინები ჩაუსმელია, არ მუშაობს საშხაპე.

ამას წინათ თბილისის სპორტკავშირმა იმსჯელა ამ საკითხზე და დასახა სათანადო ღონისძიება.



## ყურადღება!

*დიღმის მასივის ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბ „დილას“ გამგეობამ და 130-ე სკოლის დირექციამ ამავე სკოლის სპორტდარბაზში (მასივის IV კვარტალი) გახსნა გამაჯანსაღებელი ჯგუფი საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის.*

*მეცადინეობა ჩატარდება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით, 19 საათიდან. ჩაწერა იქვე, იმავე საათებში. ჯგუფებს უხელმძღვანელებს მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელი. ჯგუფში მომეცადინეთ მეთვალყურეობას გაუწევს თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურის საექიმო დისპანსერი.*

**თბილისის ლუდის მე-8 ქარხანაში კარგა ხანია დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში. ზამთრის პერიოდში იგი საამქროებში ტარდებოდა, თბილ ამინდში კი საამისოდ ქარხნის ეზოს იყენებენ.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: მორიგი მეცადინეობა საწარმოო ტანვარჯიშში.**

ფოტო ო. გელაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# სსრ კავშირის ჩემპიონატები

# 12 პასუხი

„ლელოს“ ინტერვიუ

**როგორ აფასებთ კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის შედეგებს? რას იტყვით ტურნირში მონაწილე გუნდებზე?**

ასეთი შეკითხვებით მიმართა „ლელოს“ კორესპონდენტმა გუშინწინ თბილისში დამთავრებული 33-ე საკავშირო პირველობის მონაწილეებს: მწვრთნელებს, მსაჯებსა და თვით კალათბურთელებს. აი, როგორ შეაფასეს მათ გუნდები:

**ჩემპიონი** მოსკოვის არმიელებს თავიანთ შემადგენლობაში ჰყავთ 10 თანაბარი სიძლიერის კალათბურთელი (რომლებშიც მხოლოდ გ. ვოლნოვი გამოირჩევა). ისინი კარგად არიან მომზადებული ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც. სწორედ ეს გახლდათ არმიელთა ბოლო წლების წარმატებათა მთავარი „საიდუმლოება“. გუნდი ვერ იტანს წაგებას. იგი თამაშობს ნამდვილ თანამედროვე კალათბურთს.

ი. ოზეროვი,
სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის მთავარი მწვრთნელი.

**ვიცე - ჩემპიონი** კიევის „სტროიტელი“ მომწონს თამაშის მსუბუქი მანერით, რაც აგრერიგად საჭიროა თანამედროვე კალათბურთში. მაგრამ ეს კოლექტივი დაცვაში ერთფეროვნული ტაქტიკით მოქმედებს (ცალმხრივი ზონური პრესინგით), რაც მას ხელს უშლის ექსტრა-კლასის გუნდად გახდომაში.

ჰ. ტომსონი,
ტარტუს „კალევისა“ და სსრ კავშირის ნაკრების წევრი.

**პრინციპის პრიზიორი** რიგის ვეფ-ი გამოირჩევა თანაბარი, სტაბილური თამაშით, ლატვიელები ადვილად ახვევენ თავს მეტოქეებს მისთვის ხელსაყრელ სტილს. გუნდს აქვს ეკონომიური, მოქნილი ტაქტიკა. ვეფ-ის ნაკლად მიმაჩნია ის, რომ მას არ უყვარს პრესინგის წინააღმდეგ თამაში.

ტ. ლეპმეტსი,
ტარტუს „კალევი“.

**IV ადგილი** რიგის არმიელები ძლიერი ცენტრალური ზონით გამოირჩევიან. ამავე დროს მათ რაციონალური პოზიციური თამაში ახასიათებთ. მაგრამ რიგელებს უჭირთ მეტოქის სწრაფი შეტევების უვნებელყოფა, რასაც ჯერჯერობით გასაღები ვერ მოურგეს. ამავე დროს, მათ არ ჰყავთ ძირითადი ხუთეულის სრულფასოვანი ცვლა, რის გამოც ბრძოლის მთელი სიმძიმე სასტარტო შემადგენლობას აწევს.

ო. კუტუზოვი,
ლენინგრადის „სპარტაკი“.

**V ადგილი** „ჟალგირისი“ ახალგაზრდული, პერსპექტიული გუნდია. ყოველი მოთამაშე მრავალფეროვან ტექნიკურ ილეთებს ფლობს. საჭიროების შესაბამისად გუნდი სახელდახელოდ ცვლის ტაქტიკურ ნახაზს. „ჟალგირისის“ თამაშს სიამოვნებით ვუყურებ. მომავალში იგი უეჭველად პრიზიორი გახდება.

ნ. შარგანოვი,
სსრ კავშირის კალათბურთის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

**VI ადგილი** კიევის არმიელები, პირველ ყოვლისა, გამოირჩევიან უაღრესად კოლექტიური თამაშით, განსაკუთრებით, დაცვაში. მათი კოზირია სისწრაფეც. არ მომწონს გუნდის ცენტრალური თავდამსხმელები. სუშაკმა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების წევრია, საგრძნობლად გააუარესა თამაში. არმიელებს არ ჰყავთ სრულფასოვანი რეზერვი, ამიტომაც გუნდს სტაბილურობა აკლია.

ნ. ბაგლეი,
კიევის „სტროიტელი“.

**VII ადგილი** „კალევზე“ ლაპარაკი ყოველთვის სასიამოვნოა. იგი ჩემი საყვარელი გუნდია. „კალევი“, ჩემი აზრით, ერთადერთი კოლექტივია, რომელიც ზუსტად იცავს მწვრთნელის ყოველ მითითებას. არა მგონია, რომ მას რომელიმე სხვა გუნდი ჯობდეს აზროვნებაშიც. მის ერთადერთ „ნაკლად“ მაღალი ტანის კალათბურთელთა უქონლობა მიმაჩნია. გულახდილად უნდა გითხრათ: თბილისის დინამოელებს ბოლომდე რომ შეეძლოთ „კალევის“ ტაქტიკით თამაში, უდავოდ დიდ წარმატებას მიაღწევდნენ, მით უმეტეს, რომ მათ ჰყავთ რამდენიმე მაღალი კლასის სპორტსმენი (უგრეხელიძე, საკანდელიძე, სხიერელი).

ვ. მუიჟნიეკსი,
რიგის ვეფ-ი.

**VIII ადგილი** დარწმუნებული ვიყავი, რომ ლენინგრადის ორი გუნდის — „სპარტაკისა“ და „ბურევესტნიკის“ გაერთიანება ერთ ისეთ კოლექტივს შექმნიდა, რომელიც სატურნირო ცხრილში უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. და მაინც, სპარტაკელებთან თამაში ძალიან ძნელია, რადგან ისინი წარმატებით იყენებენ მასირებულ დაცვას. კალათში ყველა ერთნაირად უშეცდომოდ ისვრის.

ა. ვალტინი,
კიევის „სტროიტელი“.

**IX ადგილი** „ურალმაში“ სწრაფი და ტემპიანი გუნდია, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. ჯერჯერობით გადაუწყვეტელია ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა, ვინაიდან კანდელი, უბრალოდ რომ ვთქვათ, მობერდა. თუ სვერდლოვსკელები მოძებნიან მაღალი კლასის ცენტრალურ თავდამსხმელს და გააუმჯობესებენ დაცვას, უდავოდ მაღალ შედეგს მიაღწევენ.

ი. კალნინში,
რიგის ასკ.

**X ადგილი** თბილისის დინამოელებმა ჩემპიონატი ფაქტიურად ერთი შემადგენლობით ჩაატარეს, რამაც ბევრი სიძნელე წარმოშვა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო სხიერელი, რომელიც მისთვის უჩვეულო ადგილზე — ცენტრალური თავდამსხმელის როლში გამოდიოდა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ იყენებდა „დინამო“ მაღალაშვილს. ორი ცენტრით თამაში თბილისელთა კოზირი იყო მუდამ და ვფიქრობ, მისთვის არც ამჯერად უნდა ეღალატნათ. გუნდს არ უვარგა სროლები, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სროლების ხარისხი არა აქვთ სტაბილური: „წაუვათ“ სროლები — თამაშიც გამოდის. ჩემი აზრით, საჭიროა სათადარიგო შემადგენლობაზე ფიქრიც. თანამედროვე კალათბურთში მხოლოდ ერთი ხუთეულით ფონს ვერ გახვალ. და, ბოლოს, თბილისის „დინამოს“ აკლია საბრძოლო სული (მხედველობაში მაქვს სწორედ საბრძოლო სული და არა მოჩვენებითი ფაციფუცი). გუნდი უაღრესად სერიოზული ამოცანების წინაშე დგას და იმედი მაქვს, რომ საბჭოთა კალათბურთის ერთ დროს აღიარებული ლიდერი მათ წარმატებით გადაჭრის.

ვ. შაბლინსკი,
კიევის „სტროიტელის“ მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

**XI ადგილი** ზუსტი სროლები — აი, რა არის ლენინგრადის არმიელთა მთავარი კოზირი. სწორედ ამით დაამარცხეს ლენინგრადელებმა თბილისის „დინამო“. ისე კი, არმიელებს ბევრი რამ დასამუშავებელი აქვთ. მაგალითად, ისინი ვერ ასწრებენ შეტევიდან დაცვაში დაბრუნებას, რის გამოც მათ ფარქვეშ ხშირად იყრის თავს მეტოქის ჭარბი ძალები. გუნდს აკლია გამოცდილებაც.

გ. ჩეჩურა,
კიევის ასკ.

**XII ადგილი** გასულ ტურებთან შედარებით, მოსკოვის „დინამოს“ ოსტატობის დონე აიმაღლა. იგი ბრძოლისუნარიანი და შეუპოვარი კოლექტივია. ა. პეტროვის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იგი უფრო ადრე რომ გამოსთიშოდა გუნდს, დინამოელები უკეთ მოახერხებდნენ ტაქტიკური ნახაზის შეცვლას და შესაძლოა „ა“ კლასის პირველ ლიგაში დარჩენილიყვნენ კიდეც.

ვ. რუდაკასი,
ლენინგრადის ასკ-ს მწვრთნელი, რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი.



თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ა. სხიერელი სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში ათიოდე დღის შემდეგ გაემგზავრება ჩილის დედაქალაქ სანტიაგოში, სადაც მონაწილეობას მიიღებს 16 ქვეყნის დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს უწოდებენ.

სურათზე: ა. სხიერელი თამაშის დროს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მატჩი გაპროტესტებულია

**მოსკოვი**, 26 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე კალენდარულ დღეს ადგილობრივმა „დინამომ“ დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 53:52. ლენინგრადელებმა მატჩი გააპროტესტეს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პროტესტი დასაბუთებულია და ამ გუნდებს შორის გადათამაშება უნდა დაინიშნოს.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (როსტოვი) 37:34, „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 60:52, „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 47:41, ტტტ (რიგა) — ასკ (ლენინგრადი) 77:32 (როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ამ დღეს დაამარცხა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 70:48).

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 27 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 19 | 17 | 2 | 17 |
| სპი თბილისი | 19 | 15 | 4 | 15 |
| „დინამო“ მოსკოვი | 19 | 12 | 7 | 12 |
| „დინამო“ კიევი | 19 | 10 | 9 | 10 |
| „ბურევესტნიკი“ ლენინგრადი | 19 | 10 | 9 | 10 |
| „სპარტაკი“ მოსკოვის ოლქი | 19 | 10 | 9 | 10 |
| „ურალმაში“ სვერდლოვსკი | 19 | 9 | 10 | 9 |
| „პოლიტექნიკა“ კაუნასი | 19 | 9 | 10 | 9 |
| ასკ ლენინგრადი | 19 | 8 | 11 | 8 |
| „დინამო“ ნოვოსიბირსკი | 19 | 7 | 12 | 7 |
| „უნივერსიტეტი“ ტარტუ | 19 | 4 | 15 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ როსტოვი | 19 | 3 | 16 | 3 |

## გუშინ...

## ლიდერები „დაასახელა“

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის VIII ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც ლიდერები „დაასახელა“. ამ დღეს თავი ისახელეს უბილავამ და ნანა ალექსანდრიამ. უბილავამ მოუგო ჩაგუნავასა და დავითაშვილს. 2 ქულა ჩაიწერა აქტივში მოჭადრაკე გოგონამაც: მან ფარ-ხმალი დააყრევინა ჩაგუნავასა და გვენცაძეს.

ლომაიამ მოუგო ჩიქოვანს მხედრების ენდშპილი, რომელშიც ზედმეტი პაიკი ჰქონდა. ჩეჩელიანთან მოსაგები პოზიცია გიორგაძემ გამარჯვებამდე ვერ მიიყვანა. მან უმართებულოდ ითამაშა და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. ყაიმით დასრულდა აგრეთვე ჩეჩელიან — ჩიქოვანისა და ჩხაიძე — ჩაგუნავას პარტიები. ჩხაიძემ მოუგო გვენცაძეს, კერნოჟიცკიმ — ბოკუჩავასა და მუკნიაშვილს.

თამაშის განახლებისას გურგენიძემ კუ და მხედარი მიიღო რაზოვსკის ეტლის წინააღმდეგ (ამას გარდა, დაფაზე იყო ორ-ორი თეთრი და შავი პაიკი). ოსტატი თითქმის მთელი საღამო ამაოდ ეძებდა მოგების გზებს. პარტია ყაიმით დასრულდა.

8 ტურის შემდეგ ლიდერებში არიან ბ. გურგენიძე (7), თ. გიორგაძე (6.5), რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბუსლაევი (6-6) და ე. უბილავა (5,5).



თ. ლომაია.



რ. ჯინჯიხაშვილი.

მეგობრული შარჟები რ. ხანდირაძისა.

## გუშინ...

### „კოლხიდა“ უჩვევს

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 26 მარტი.

„კოლხიდა“ (ფოთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0 (2:0).

„კოლხიდა“: ბურჭულაძე, ლაზარევი, ციკვაშვილი, ვერბიცკი, ტაბიძე, ქსოვრელი (ცავა), ხოფერია, გვაზავა (ცვარაცხელია), კალიუჟინოვი, ჯიბლაძე, ალმასია.

„ალაზანი“: ჰუნიაშვილი, მენთეშაშვილი, სამნიაშვილი, მაჰავარიანი, ვართანოვი, ძამუკაშვილი, მღებრიშვილი, კუპრაშვილი, ჯავახიშვილი (აუშტროვი), ზაქარეიშვილი, ჩქარეული.

მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მატჩში შ. შავგულიძის სახელობის თასზე III-IV ადგილებისთვის „ალაზნის“ ხელმძღვანელობამ მინდორზე სანახევროდ შეცვლილი შემადგენლობა გამოიყვანა. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ვერ გაუძლეს გამოცდილ მოწინააღმდეგეს და ინიციატივა თავიდანვე კოლხიდელებმა აიღეს ხელთ. პირველ წარმატებას მათ უკვე მე-4 წუთზე მიაღწიეს (ბურთი გაიტანა ჯიბლაძემ), ხოლო შემდეგ გურჯაანელთა მცველებმა ვართანოვმა და მაჰავარიანმა უხეიროდ ითამაშეს საჯარიმო მოედანზე და ამ უკანასკნელმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი — 2:0.

„ალაზანს“ რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა ჰქონდა მეორე ტაიმში, მაგრამ თამაში ძირითადად კვლავინდებურად ფოთელებს მიჰყავდათ. 30-ე წუთზე ჯიბლაძემ ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი და „კოლხიდამ“ გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 3:0. მან ტურნირში დაიკავა მესამე ადგილი.

ლ. რევია.

## გორელები — მეხუთე ადგილზე

რუსთავში გაიმართა შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა“ და გორის „დილას“ შორის. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა V-VI ადგილების ბედი.

შესვენებამდე მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს გორელთა კარის აღების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. ვერც სტუმრებმა მოახერხეს გოლის გატანა და ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა—0:0.

სამაგიეროდ, თამაშის მეორე ნახევარი „უხვმოსავლიანი“ გამოდგა. ანგარიში 58-ე წუთზე გახსნა გორელმა ჰუსეინოვმა. 81-ე წუთზე იობიძემ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

შეხვედრის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გორელმა ბურჯანაძემ გაიტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება და V ადგილი მოუტანა „დილას“.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# უბედური შემთხვევა მთებში

ამ ბოლო დროს დასავლეთ ევროპის ბევრმა საავიაციო ფირმამ მოჰკიდა ხელი სპეციალური ერთძრავიანი სპორტული თვითმფრინავების წარმოებას. ეს ფირმები ერთხმად ქადაგებენ, რომ საავიაციო სპორტი „მამაცთა სპორტია“. მაგრამ, როგორც ავსტრიის გაზეთი „ფოლკსშტიმე“ წერს: „ჩვენს პირობებში იგი უკვე კარგა ხანია განწირულთა სპორტად იქცა“.

დათვლილია, რომ ყოველწლიურად ასოცი შვეიცარიელი, დასავლეთგერმანელი, ინგლისელი, ესპანელი, იტალიელი და ფრანგი სპორტსმენი-მფრინავი იღუპება. ახლახან მოხდა კიდევ ერთი უბედური შემთხვევა, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ორი დასავლეთგერმანელი მფრინავი, 24 წლის რიპარდ დერენბერგი და 26 წლის იოჰენ ლუნკე კვირას, დილაადრიან გაფრინდნენ შვეიცარიისაკენ. ისინი გამოცდილ სპორტსმენებად ითვლებოდნენ, ფრენის რაიონში კარგი ამინდი იდგა... ერთი სიტყვით, საფრთხე თითქოს არსაიდან ემუქრებოდათ, მაგრამ შვეიცარიის მთების თავზე თვითმფრინავი მოულოდნელად დაიშალა. მფრინავებმა მოასწრეს უბედურების ამბავი რადიოთი გადაეცათ.

მაშველი შვეულმფრენები მაშინვე აფრინდნენ, მაგრამ მხოლოდ 25 საათის შემდეგ მიაგნეს მთებში ნამსხვრევებად ქცეულ თვითმფრინავს. მძიმედ დაშავებული სპორტსმენები ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ (იხ. ფოტო). ეს ორი ადამიანი რაღაც შემთხვევით გადარჩა აუცილებელ დაღუპვას.

მფრინავი-სპორტსმენები ერთხმად ირწმუნებიან, რომ მანქანები ჯერ კიდევ არ არის ტექნიკურად სრულყოფილი, ვინაიდან ფირმებს ერთი სული აქვთ როგორმე აჯობონ კონკურენტებს და რაც შეიძლება სწრაფად გაასაღონ თავიანთი პროდუქცია.





# მწარე ირონია

იმ გვიან საღამოს ქუჩაში აღარ ჩანდნენ გამვლელები, ბანდიტი კი დარწმუნებულად და მეთოდურად მოქმედებდა. სანუკვარი მიზანი—სასურსათო მაღაზიის სალარო სულ ახლოს ჩანდა. ანაზდად სიბნელეში გაიელვა ელექტრონათურის შუქმა. ბოროტმოქმედი ადგილზე გაქვავდა — მას „საქმეზე“ მიუსწრეს. გაშეშებული დარჩნენ პოლიციელებიც, როცა სამორიგეო უბანში შეუდგნენ დაკავებულის პიროვნების გამორკვევას. ეს იყო ვოლფგანგ პეტერო — ცნობილი ფეხბურთელი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების წევრი, დორტმუნდის კლუბ „ბორუსიას“ ერთ-ერთი მოთამაშე. მაღაზიის გაძარცვისთვის იგი საბრალდებულო სკამზე მოხვდა.

ეს შემთხვევა, რომელიც ამას წინათ მოხდა გფრ-ში, სრულიადაც არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სენსაციას. თურმე გფრ-ის „ფედერალური ლიგის“ ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელ მუშაკებს გასულ წლებშიც და ახლაც ხშირად აქვთ „შეტაკებები“ კანონთან. იმავე „ბორუსიას“ ადმინისტრაცია იძულებული იყო სასამართლოს წინაშე წამდგარიყო ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვასა და ბეგარის გადაუხდელობასთან დაკავშირებული ფულადი მაქინაციებისთვის. სხვა კლუბის — „ტასმანიას“ ფეხბურთელები გაასამართლეს იმის გამო, რომ ისინი წინასწარი შეთანხმებით აგებდნენ სხვა კლუბებთან და ქრთამს იღებდნენ.

კარიკატურას, რომელიც გადმობეჭდილია დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნიდან“, აქვს ასეთი ირონიული წარწერა: „ეტყობა, ჩვენს ფედერალურ ლიგაში მართლაც რაღაც უწესრიგობებია!“ ამას ეუბნება ერთი პოლიციელი მეორეს, როცა ხედავს, რომ მინდორზე გამოდიან პატიმართა ტანსაცმელში გამოწყობილი ფეხბურთელები.

# საფეხბურთო

## პელე მშვენივრად გრძნობს თავს...

„ჩვენი პელე იყიდეს. იგი გადაიბირეს უცხოურმა კლუბებმა. „შავი მარგალიტი“ სამშობლოში აღარ დაბრუნდება“... ასეთი ხმები გავრცელდა ბოლო ხანებში ბრაზილიელ ფეხბურთის მოყვარულთა შორის. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ პელე ერთ ხანს არ იყო შინ: ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად მან თაფლობის თვე ევროპის ქვეყნებში გაატარა.

და აი, თავის მილიონობით გულშემატკივართა გასახარებლად პელე, როგორც იქნა, დაბრუნდა სან-პაულუში და მაშინვე უარყო ხმები, თითქოს, ევროპაში საქორწინო მოგზაურობისას მან ჰაიჰე წინადადებანი მიიღო უცხოური კლუბებისგან. „მით უმეტეს, რომ ეს სავსებით ზედმეტი იქნებოდა, — დაუმატა პელეს შესახვედრად აეროდრომზე მოსულმა „სანტოსის“ მენაჯერმა ჟორჟ კარიმ. — არ არის ისეთი ფული, არ არის ისეთი ფასი, რომელიც საკმარისი იყოს ბრაზილიური ფეხბურთის კერპის საყიდლად“.

ამრიგად, პელეს საფეხბურთო ცხოვრებაში ცვლილებანი ჯერჯერობით არაა. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ქორწინების შემდეგ ალბათ ცვლილებები იქნება. სან-პაულუს აეროპორტში პელემ კორესპონდენტებს განუცხადა, თავის მეუღლე როზმარისთან ერთად მას გადაწყვეტილი აქვს ბევრი შვილი იყოლიოს.

• • •

**ბუქარესტი**, 25 მარტი. „ბრაზილია ინარჩუნებს საუკეთესო შანსებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში“, — ასე განუცხადა პელემ რუმინულ გაზეთ „სკინტეიას“ კორესპონდენტს.

— ამბობენ, რომ დიდი ბრიტანეთი არ გაუშვებს ასეთ შესაძლებლობას „მოსტაცოს“ ბრაზილიას მსოფლიო ჩემპიონის წოდება. გფრ და იტალია ასევე სრული დამაჯერებლობით აცხადებენ თავიანთ პრეტენზიებს უმაღლეს საფეხბურთო ტიტულზე. მაგრამ, ჩემი აზრით, მარტო ამ გუნდებს არა აქვთ წარმატების მოლოდინი, — განაცხადა პელემ. — და მაინც მიმაჩნია, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საუკეთესო შანსები ბრაზილიელებს გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენი თამაშის სისტემა ახლა ყველამ იცის, იგი შესწავლილია კინოფილმებით, სქემებითა და დიაგრამებით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, ფეხბურთი ეს ტრაფარეტი არაა და ძლიერ გუნდს ყოველ ახალ შეხვედრაში სხვადასხვაგვარად შეუძლია გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა.

— ჩემი აზრით, — განაგრძო განთქმულმა ფორვარდმა, — ინდივიდუალურ ტექნიკას კოლექტივიზმთან და ფანტაზიასთან შეთავსებით შეუძლია არარაობად აქციოს ფეხბურთის „მათემატიკოსთა“ ყველაზე ზუსტი გამოთვლები. გუნდმა უნდა გამოავლინოს მოქნილობა, შეძლოს შესაფერისი მომენტის პოვნა შეტევისთვის და როცა წარმოიქმნება საჭიროება, გადავიდეს დაცვაზე.

პელემ გადაჭრით უარყო პრესაში გაპარული ცნობები იმის თაობაზე, რომ იგი ტოვებს „სანტოსს“ და მიდის სხვა ქვეყანაში.

— ყველაფერი ეს მონაჭორია. ბრაზილიაში საუცხოო პირობები შემიქმნეს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს მთავარ მიზეზს, რომელიც მაიძულებს ჩემი კლუბის ერთგული ვიყო ბოლომდე. „სანტოსთანაა“ დაკავშირებული ჩემი საუკეთესო მოგონებანი. ჩემი ოჯახი ცხოვრობს ბრაზილიაში, მეც ბრაზილიელი ქალი ვითხოვე და, გარდა ამისა, თუ გულახდილად ვილაპარაკებთ, სად იგრძნობ უფრო მეტ სითბოსა და სიყვარულს, თუ არა სამშობლოში?

## კომედიანტი კმაყოფილია

ინგლისელმა ხუმარამ ტომი ტრინდერმა ხელი მოაწერა მორიგ კონტრაქტს: მოზრდილი ჰონორარის საფასურად იგი მთელი წლის განმავლობაში ლონდონის რესტორანში შეასრულებს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისადმი მიძღვნილ სიმღერებს. ეს ყველაზე უფრო მომგებიანი წინადადებაა, რომელიც ოდესმე მიუღია 57 წლის მსახიობს. მაგრამ ტრინდერი მხოლოდ ამით როდია კმაყოფილი.

— ყველაზე მთავარია ის, რომ ფეხბურთელთა უდიდესი ბატალიების დღეებში ლონდონში ვიქნები, — განაცხადა პოპულარული თამაშის ერთგულმა თაყვანისმცემელმა.

# მოზაიკა

## დრო და სასჯელი

უეფა-ს ხელმძღვანელობამ ამას წინათ გამოაცხადა, რომ ევროპის ტურნირებში მონაწილე გუნდების მიმართ, რომლებიც წესს დაარღვევენ, დისციპლინარულ ზომებს მიმართავენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სასჯელის დროისთვის ეს გუნდები გამოეთიშებიან ბრძოლას. პირველნი, ვინც ამ ლონისძიების სიმწარე გამოსცადეს, იყვნენ ირლანდიის საფეხბურთო ლიგის ჩემპიონი „დერი სიტი“ და ბელგიის კლუბი „ანდერლეხტი“. ითამაშეს რა ევროპის ჩემპიონთა თასზე („ანდერლეხტმა“ გაიმარჯვა — 9:0), ამ კლუბებმა თვითნებურად გადაწყვიტეს შეეწყვიტათ ტურნირში გამოსვლა. და აი, უეფა-ს მოთხოვნით „დერი სიტი“ გადაიხდის ჯარიმას 2.000, ხოლო „ანდერლეხტი“ 3.000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით. ამას გარდა, „დერი სიტის“ ზედიზედ 2 სეზონი აეკრძალა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში მონაწილეობა.

## ნახვამდის!

ინგლისში, მომავალი საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ბაზებზე, ამას წინათ იმყოფებოდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია. სამშობლოში დაბრუნებისას კორეელებმა მადლობა უძღვნეს ინგლისელებს თბილი მიღებისთვის. დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ ფეხბურთის სამშობლოში დიდ ინტერესს იჩენენ კორეელთა გუნდის მიმართ, რომელმაც ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

დელეგაციის წევრები დიდი ხნით როდი გამოეთხოვენ ინგლისს. მსოფლიო პირველობის დასაწყისისთვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ინგლისს გაემგზავრებიან არა მარტო ფეხბურთელები, არამედ რეპორტიორები და ტურისტებიც.

# კონკურსი რიაზანში

რიაზანის გაზეთ „ლენინსკი პუტის“ რედაქციამ გამოაცხადა საკავშირო კონკურსი საჭადრაკო კომპოზიციაში. კონკურსი ეწყობა სამ განყოფილებად: ორ, სამ და მრავალსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში.

კომპოზიციები ა. წ. 1 ნოემბრამდე უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: რიაზანი, ლენინის ქ. № 35, II სართული. გაზეთ „ლენინსკი პუტის“ რედაქცია. ჭადრაკის განყოფილება.

კომპოზიციები აუცილებლად უნდა იყოს დახატული დიაგრამაზე ორ ცალად, რომელსაც უნდა დაერთოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და კომპოზიციების ავტორისეული ამოხსნა.

კონკურსის მსაჯებად მიწვეული არიან ა. კაკოვინი, დ. ლიუბომიროვი, ი. სუშკოვი, ს. პუშკინი. კონკურსის შედეგები ყველა მონაწილეს პირადად ეცნობა.

**ს. გროძენსკი,**
გაზეთ „ლენინსკი პუტის“ საჭადრაკო განყოფილების რედაქტორი.

**ქაირო**, 25 მარტი. არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის II გუნდთან გამარჯვების შემდეგ სომხეთის რაპირისტებმა იმავე ანგარიშით (9:7) მოუგეს მასპინძელთა I ნაკრებს. სომხეთის მოფარიკავე ქალებმა პირად ტურნირში ყველა ხუთი პირველი ადგილი მოიპოვეს. შვიდივე ბრძოლის მოგებით ყველას აჯობა აიდა ადამიანმა.

**სფაქსი, 26 მარტი.** მეორე მატჩი გამართეს ტუნისში მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. ამჯერად ისინი ქალაქის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 3:2.

**ფეხბურთი.** „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 27 მარტი. შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება. I-II ადგილებისთვის ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ (სოხუმი) — „მეშახტე“ (ტყიბული). დასაწყისი 15 ს.

**ჭადრაკი.** საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). 27 მარტი-11 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დღეს — IX ტური, ხვალ — X. დასაწყისი 17 ს. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 27-30 მარტი. საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის. დასაწყისი 10 ს. 30 წ. მასწავლებლის სახლი (ფურცელაძის ქ. № 3). 27-30 მარტი. საქართველოს პირველობა მასწავლებელთა შორის. დასაწყისი 10 ს. და 18 ს.

**ტყვიით სროლა.** ავჭალის სასროლეთი. 27 მარტი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**შაში.** სპორტკლუბ „სინათლის“ საჭადრაკო-საშაშო კლუბი (ტელმანის ქ. № 8). 27 მარტი-2 აპრილი. თბილისის პირადი პირველობა. დასაწყისი 18 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04899